



ენერგეტიკული ბაზრის რეფორმა და მოწყვლადი მომხმარებლების დაცვა

მურმან მარგველაშვილი

თეიმურაზ გოგსაძე

თუთანა კვარაცხელია

გიორგი მუხიგულიშვილი

გიორგი ნინუა

დემიტრი ჩხეიძე

ირაკლი ურგებაშვილი

მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის

2020

ენერგეტიკული ბაზრის რეფორმა და მოწყვლადი მომხმარებლების დაცვა

2019 წლის 20 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი ენერგეტიკის და წყალმომარაგების შესახებ, რითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ელექტრობის და გაზის ბაზრების რეფორმის განხორციელებაში. ევროკავშირის ელექტრობის და გაზის დირექტივები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მომხმარებლების უფლებებს და მოწყვლადი მომხმარებლების დაცვას, ვისაც რეფორმების პერიოდში ენერგეტიკული სერვისების მისაღებად შესაძლოა ფინანსური ან სხვაგვარი დახმარება დასჭირდეს.

USAID-ის პროგრამის ფარგლებში, WEG-მა შეაფასა ახალი კანონის პოტენციური ზეგავლენა მოწყვლად მომხმარებლებზე (RIA)¹ რომლის ძირითად მიგნებებს და დასკვნებს აქ წარმოგიდგენთ. ჩვენი ანალიზი ძირითადად ეყრდნობა სოციალური მომსახურების სააგენტოს (სააგენტო) და სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს, ასევე - USAID-ის მიერ ჩატარებულ RIA-ს ენერგეტიკულ ტარიფებთან დაკავშირებით².

მოსალოდნელია, რომ ენერგეტიკის შესახებ ახალ კანონს მომხმარებლებზე შემდეგი სახის პირდაპირი ეფექტები ექნება:

- მიწოდების ხარისხი და საიმედოობა ეტაპობრივად გაუმჯობესდება. შესაბამისად, ამ კუთხით რამე დამატებითი ღონისძიებების ჩატარება საჭირო არ არის.
- ჩვეულებრივი განვითარების სცენართან შედარებით (BAU), ენერგიაზე ფასები მცირედით დაიკლებს. თუმცა ეს კლება უმნიშვნელოა მზარდი მოხმარების პირობებში საჭირო ინვესტიციების და იმპორტით გამოწვეულ ზრდასთან შედარებით³:
- ბაზრის გახსნა მომხმარებლებს უჩენს ბაზარზე მეტი აქტივობით უკეთესი მიწოდება-გადახდის პირობების მიღების შესაძლებლობას. ამ დროს ისინი, ვისაც შეზღუდული უნარ-შესაძლებლობები და/ან ინფორმაციასთან ნაკლები წვდომა აქვთ, შესაძლოა არახელსაყრელ პირობებში აღმოჩნდნენ.

შესაბამისად, მოწყვლადი მომხმარებლების დასაცავად საჭიროა როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური დახმარების ღონისძიებები. არაფინანსური დახმარების ღონისძიებები ძირითადად მიმართული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, მოხუცებზე, ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანებზე, რომლებიც

¹ USAID – WEG, RIA მოწყვლადი მომხმარებლების საკითხებთან დაკავშირებით https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00W52B.pdf

² USAID ენერგეტიკული პროგრამა – RIA ელექტროენერჯის და გაზის ფასებთან დაკავშირებით

³ გარდამავალ ეტაპზე კანონი ითვალისწინებს ე.წ. საჯარო მომსახურების ვალდებულებას, რაც გულისხმობს სტანდარტული პირობებით ენერჯის მიწოდებას მათთვის, ვისაც ბაზარზე აქტიურობა და დამატებითი სარგებლების მიცემა არ დაინტერესებს.

კონკურენტულ ბაზარზე ინფორმაციის მიღებასა და არჩევანის გაკეთებაში დახმარებას საჭიროებენ. ფინანსური ღონისძიებები კი განკუთვნილია ეკონომიკური პრობლემების მქონე მოსახლეობაზე.

ვინ არიან მოწყვლადი მომხმარებლები?

ევროკავშირის დირექტივები არ იძლევა მოწყვლადი მომხმარებლების კატეგორიების მკაცრ განმარტებას. არსებობს ენერგეტიკული გაერთიანების რეკომენდაციები და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის ანალიზი 4. საბოლოო გადაწყვეტილებას კი ქვეყნები თავად იღებენ თავიანთი საჭიროებებიდან გამომდინარე.

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით და ენერგეტიკული თანამეგობრობის რეკომენდაციით, კონკრეტული მომხმარებლების მოწყვლადობა უნდა განისაზღვროს არა მათი ენერგეტიკული მოხმარების მიხედვით, არამედ ზოგადი სოციალური მდგომარეობის, შემოსავლების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით (მაგ. ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობების ქონა და ა.შ.) რომლის გამოც ელექტროენერჯისა და გაზის მოხმარებისთვის განსაკუთრებული პირობები სჭირდებათ. შესაბამისად, მომხმარებლების მოწყვლადობის საკითხი უკავშირდება ზოგად სიღარიბეს და „ყველაზე დაბალი შემოსავლის ქონას“, ასევე - ისეთ გარემოებებს, რამაც შეიძლება მომხმარებელს შეუზღუდოს ბაზარზე ინფორმაციის მიღების ან გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა.⁵

ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს მოწყვლადი მომხმარებლებისა და ენერგეტიკული სიღარიბის საკითხები. მოწყვლად მომხმარებლებად ძირითადად მოიაზრებიან ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის სოციალურად დაუცველი მომხმარებლები, მაშინ როცა ენერგეტიკული სიღარიბე გაცილებით ფართო ცნებაა და მოიცავს წვდომას ენერჯის თანამედროვე წყაროებთან, ენერგეტიკული დანახარჯების მაღალ წილს მთლიან შემოსავლებში, საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტიანობას, ენერჯის მოხმარების გავლენას ჯანმრთელობაზე და ა.შ. ენერგეტიკული სიღარიბე ენერგეტიკული პოლიტიკის საგანია, ხოლო მოწყვლადობა - სოციალური პოლიტიკის.

ენერგეტიკის შესახებ ახალი კანონის მიხედვით (მუხლი 112) მოწყვლადი მომხმარებლების კატეგორიების განსაზღვრა და შესაბამისი დახმარების სქემების

⁴ WEG „ენერგეტიკული სიღარიბე და მოწყვლადი მომხმარებლები საქართველოში“ 2018

⁵ ICRB treatment of the Vulnerable Customers in the Energy Community - 2013

შემუშავება ევალებათ ცენტრალურ მთავრობას და ადგილობრივ მუნიციპალიტეტებს, თუმცა რაიმე სახელმძღვანელო პრინციპი არ არის განსაზღვრული.

მოწყვლადი მომხმარებლების დახმარების მიზნები და ფორმები

არაფინანსური დახმარების მექანიზმები

მოწყვლადი მომხმარებლების არაფინანსური დახმარების მექანიზმები ძირითადად 3 სახისაა: ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის გათიშვისგან დაცვა, ენერგოეფექტიანობის ღონისძიებები და საინფორმაციო ღონისძიებები. ეს ღონისძიებები ყველა მომხმარებლისთვის არის რელევანტური, თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოწყვლადი მომხმარებლებისათვის, რომლებსაც ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა ფაქტორების გამო სპეციალური საჭიროებები აქვთ.

მაგალითად, ევროკავშირში მიღებული პრაქტიკაა, რომ გადაუხდელობის გამო ელექტროენერჯია არ გაეთიშოთ მარტო მცხოვრებ მოხუც ადამიანებს, დავალიანების არსებობის შემთხვევაში, მოხდეს თანხის გადანაწილება და ა.შ. ენერგოეფექტიანობის ღონისძიებები გულისხმობს დახმარებას ენერგოეფექტიანი ნათურებით ან საოჯახო მოწყობილობებით, ინფორმაციის მიწოდებას ენერჯის მოხმარების შემცირების გზებთან დაკავშირებით და ა.შ. საინფორმაციო კამპანიები ასევე მოიცავს ბაზარზე არსებული ენერგო კომპანიების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მათთვის, ვისაც ინტერნეტის მოხმარება ან არსებულ შეთავაზებებში გარკვევა უჭირთ და ა.შ.

მოწყვლადი მომხმარებლების ფინანსური დახმარება

ენერგეტიკული ფასების ცვლილებისას მოწყვლადი მომხმარებლების ფინანსური დახმარების ანალიზისთვის ვითვალისწინებთ შემდეგ პრინციპებს:

- ენერჯით დახმარება ზოგადი სიღარიბის დასამლევად, არაეფექტურია როგორც სოციალური, ასევე ენერგეტიკული პოლიტიკის თვალსაზრისით. ის იწვევს ენერგეტიკული ბაზრის დამახინჯებას და საზოგადოებრივი რესურსის არარაციონალურ ხარჯვას. თუმცა, სოციალურად მოწყვლადი მოსახლეობის ფინანსური დახმარების სქემებში, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული უნდა იყოს ენერგეტიკული ხარჯები.
- დახმარების განსაზღვრისას, სასურველია დაცული იყოს მინიმალური საკმარისობის პრინციპი. თუმცა, ოჯახების ენერგომომხმარების არასაკმარისი

ინფორმაციის პირობებში ენერგეტიკული მოხმარების ნორმების დადგენა ბევრ განუზღვრელობასთან არის დაკავშირებული. ამიტომ დახმარების კრიტერიუმად ჩავთვალეთ ტარიფების ცვლილებისას კეთილდღეობის დონის შენარჩუნება და არსებული დახმარების სქემების გამოყენება.

- დახმარების საჭიროების შეფასებისას, სასურველია, ყურადღება მიექცეს არა მხოლოდ ტარიფების, არამედ - შემოსავლების და ენერჯის ხელმისაწვდომობის დინამიკას. თუ შემოსავლების ზრდის ტემპი აჭარბებს ენერგეტიკული ტარიფების ზრდას, ეს შეიძლება ჯანსაღი ეკონომიკური განვითარების მაჩვენებელი იყოს რაც დამატებით დახმარების საჭიროებას კითხვის ქვეშ აყენებს.
- სოციალური უთანასწორობის მაღალი დონის პირობებში, მიზანშეწონილია არა საშუალო, არამედ მოწყვლადი მომხმარებლებისთვის ენერჯის ხელმისაწვდომობაზე კონცენტრირება, თუმცა საშუალო მაჩვენებლების დინამიკა ასევე მნიშვნელოვანია.

ფინანსური დახმარების ფორმები

მოწყვლადი მომხმარებლების ენერგეტიკული ფინანსური დახმარების ამოცანა უნდა იყოს, რომ მოწყვლადი მომხმარებლების მდგომარეობა არ გაუარესდეს ენერგეტიკული ფასების შესაძლო ზრდის პირობებში. ეს შეიძლება განხორციელდეს ტარიფის სუბსიდირებით, ენერგეტიკული ვაუჩერებით ან ფულადი დახმარებით.

მოწყვლადი მომხმარებლების კეთილდღეობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული პოლიტიკის ალტერნატივების შეფასებისათვის (იხ. დანართი 1) გამოვიყენეთ სტანდარტული მიკროეკონომიკის გადაწყვეტილების თეორია. კერძოდ, გავაანალიზეთ ტიპური რაციონალური შინამეურნეობის (ოჯახის) ქცევა სხვადასხვა პოლიტიკის პირობებში. დავუშვით, რომ შინამეურნეობა თავისი პრეფერენციების, შემოსავლებისა და საქონლის ფასების გათვალისწინებით ახდენს საკუთარი კეთილდღეობის მაქსიმიზაციას ორი საქონლის, ენერჯისა და შედგენილი საქონლის (Composite Good), მოხმარების პირობებში. ისეთი ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორებიცაა „საბიუჯეტო შეზღუდულობა“ და „განურჩევლობის მრუდები“, მეთოდოლოგიამ პოლიტიკის ალტერნატივების ურთიერთ-შედარებისა და ეფექტიანობისა და ეფექტურობის კრიტერიუმების მიხედვით რანგირების საშუალება მოგვცა.

ეკონომიკური ანალიზი აჩვენებს, რომ რაციონალური ქცევის შემთხვევაში, ფულადი კომპენსაცია არის ეკონომიკურად ყველაზე მეტად გამართლებული დახმარების

ლონისძიება, მომდევნო ადგილზეა ენერგეტიკული ვაუჩერი, ხოლო ტარიფის სუბსიდირება ყველაზე ნაკლებად მისაღები ალტერნატივაა.⁶

პირდაპირი ფინანსური დახმარება რაციონალურად მოქმედ მიმღებს უტოვებს არჩევანის თავისუფლებას, თავისი შეხედულებით და პრიორიტეტების შესაბამისად გადაანაწილოს ხარჯები და საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, ენერჯის ფარდობითი ფასის ზრდის დროს) შეამციროს ენერჯის მოხმარება, ხოლო სანაცვლოდ შეიძინოს სხვა პროდუქტი ან მომსახურება. ვაუჩერული სისტემა ასეთ არჩევანის თავისუფლებას მხოლოდ ნაწილობრივ აძლევს დახმარების მიმღებს. ტარიფის სუბსიდირებას კი აქვს სხვადასხვა პირდაპირი და არაპირდაპირი უარყოფითი ეფექტი, კერძოდ: ამახინჯებს კონკურენტულ ბაზარს, იწვევს ენერჯის ზედმეტ ხარჯს და შესაბამისად აუარესებს ენერგეტიკულ დამოკიდებულებას. ეს განსაკუთრებით დამაზიანებელია თუ ვრცელდება ყველა საყოფაცხოვრებო მომხმარებელზე და არა მხოლოდ მოწყვლად მომხმარებლებზე. ამ შემთხვევაში ის დამატებით იწვევს საზოგადოებრივი რესურსის არამიზნობრივ ხარჯვას და ზრდის სოციალურ უთანაბრობას, ვინაიდან სარგებელს ღარიბებზე მეტად მდიდრები იღებენ.

ენერგეტიკული დახმარების არსებული სქემები საქართველოში

სიღარიბეში მყოფი მოსახლეობის აღრიცხვის და მათთვის მიზნობრივი სოციალური დახმარების გაწევის მიზნით სოციალური მომსახურების სააგენტო⁷ ამუშავებს და იყენებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზას. მოქმედებს შინამეურნეობების კეთილდღეობის შეფასების არაპირდაპირი მეთოდი სადაც კეთილდღეობა ფასდება ოჯახების რეალური მოხმარებისა და არსებული საჭიროებების შეფარდებით⁸. ოჯახების კეთილდღეობის მიხედვით რანჟირებისათვის გამოიყენება სარეიტინგო ქულათა სისტემა. 100 000 სარეიტინგო ქულა შეესაბამება ზღვარს სადაც ოჯახი მინიმალურ საბაზისო საჭიროებებს იკმაყოფილებს. აღსანიშნავია, რომ შეფასების სისტემა შეესაბამება ენერგეტიკული თანამეგობრობის რეკომენდაციას, რომლის მიხედვითაც „შემოსავლის განსაზღვრაში, გარდა ფულადი შემოსავლისა, გათვალისწინებული უნდა იყოს ყველა არსებული აქტივი“.

ფულადი დახმარება გაიცემა მხოლოდ 65 000 ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე შინამეურნეობებზე, რაც იმას ნიშნავს, რომ 65 დან 100 ათას ქულამდე კატეგორიაში მყოფ

⁶ სუბსიდირების ალტერნატიული მექანიზმების დეტალური ეკონომიკური ანალიზი იხილეთ დანართი 1-ში.

⁷ <http://ssa.gov.ge/>

⁸ დეტალური მეთოდოლოგია იხილეთ ბმულზე https://www.moh.gov.ge/uploads/files/2018/Failebi/dadgenilebebi_soc/20.03.2018-27.pdf

⁹ ICRB treatment of the Vulnerable Customers in the Energy Community - 2013

მოსახლეობას სახელმწიფო ვერ ეხმარება, თუნდაც ძირითადი საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.


სოციალური დახმარების სისტემა და სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიანი ბაზა გამოიყენება ენერგეტიკული და კომუნალური დახმარების მიზნებისთვისაც. თუმცა ის ცხადად და გამჭვირვალედ არ განმარტავს, მოწყვლადი მომხმარებლებისთვის განკუთვნილი დახმარების ოდენობის განსაზღვრის პრინციპს. დახმარების რაოდენობა, დამოკიდებულია არსებულ პრაქტიკასა და ცენტრალური თუ მუნიციპალური ბიუჯეტების მიერ თანხების გამოყოფაზე.

დღეისათვის საქართველოში რამდენიმე ტიპის ენერგეტიკული სუბსიდია მოქმედებს:

- **ელექტროენერჯის სუბსიდია:** თბილისში 70 000 სარეიტინგო ქულაზე ნაკლები ქულის მქონე სოციალურად დაუცველი ოჯახები, 5 თვის მანძილზე, თვეში 106 ლარის კომუნალურ სუბსიდიას იღებენ, რაც წლიურად დაახლოებით 530 ლარს შეადგენს (მოიცავს ელექტროენერჯის, წყლის და დასუფთავების ხარჯებს). 70 000 ქულიდან 200 000 ქულამდე კი - 20 ლარს. რეგიონებში სოციალურად დაუცველ მოსახლეობას 70 000 სარეიტინგო ქულის ქვემოთ, სახელმწიფო უსუბსიდირებს ტარიფს, ყოველ მოხმარებულ კვტ.სთ-ზე 3.9 თეთრის ოდენობით (წლიურად დაახლოებით 50 ლარი).

გრაფიკი 1. აჩვენებს, რომ 2018 წლის მონაცემებით, დაბალშემოსავლიანი მომხმარებლების ძირითად კატეგორიებში (<100 000 ქ) ელექტროენერჯიაზე დანახარჯები თბილისში და რეგიონებში მნიშვნელოვნად განსხვავდება. ერთნაირი ტარიფების მიუხედავად, თბილისში ვაუჩერის მიმღები მოსახლეობის მიერ ელექტროენერჯის მოხმარება თითქმის ორჯერ აღემატება რეგიონებში ელექტროენერჯის ტარიფის სუბსიდირების მიმღები მოსახლეობის მიერ ელექტროენერჯის მოხმარებას.

გრაფიკი 1: ელექტროენერჯის საშუალო ყოველთვიური დანახარჯი თბილისში და რეგიონებში




წყარო სააგენტოს მონაცემთა ბაზა

- **მაღალმთიანი დასახლებები** - კანონი „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ ითვალისწინებს, 2017 წლის 1 იანვრიდან, საყოფაცხოვრებო მომხმარებლის მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელექტროენერჯის ყოველთვიური საფასურის 50 პროცენტის ანაზღაურებას, არაუმეტეს მოხმარებული 100 კვტსთ-ისა.
- **კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ოჯახების დახმარება** - ზამთრის პერიოდში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები დაზარალებული მოსახლეობის გაზით გათბობით უზრუნველსაყოფად გაიცემა 200 ლარიანი დახმარება.
- **გაზის სუბსიდია** - 15 ოქტომბრიდან 15 მაისამდე თვეში 700მ³ გაზი უფასოდ მიეწოდება ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებ მოსახლეობას (5700 ოჯახს), რაშიც ბიუჯეტიდან იხარჯება 7,363,300 ლარი (2018 წ.).

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე მოყვანილია გაზის საშუალო თვიური ხარჯები რეგიონების და სარეიტინგო ქულების მიხედვით. ჩანს, რომ მცხეთა-მთიანეთის სოციალურად დაუცველი მოსახლეობა 2.5-3-ჯერ მეტ გაზს მოიხმარს დანარჩენ რეგიონებში მცხოვრები სოციალურად დაუცველ მომხმარებლებთან შედარებით.

გრაფიკი 2: მოწყვლადი მომხმარებლების საშუალო თვიური დანახარჯები ბუნებრივ აირზე რეგიონების და ქულათა კატეგორიების მიხედვით



წყარო: სააგენტოს მონაცემთა ბაზა

- **მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება** - 2019 წლიდან ოჯახები, რომლებსაც ბაზაში მინიჭებული აქვთ 300 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა და ყავთ 4 შვილი, იღებენ ელექტროენერჯის დახმარებას 20 ლარის ოდენობით, ხოლო ყოველ მომდევნო ბავშვზე - დამატებით 10 ლარს.


აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ამ სექტორის ძირითადი მოტივაცია არის არა იმდენად მცირეშემოსავლიანთა ენერგეტიკული დახმარება, რამდენადაც რეგიონული, დემოგრაფიული თუ პოლიტიკური ამოცანების გადაჭრა.

დამატებით მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ მთლიანად საყოფაცხოვრებო სექტორს ბუნებრივი გაზი არასაბაზრო, შეღავათიან ე.წ. „სოციალურ“ ფასად მიეწოდება, რაც ასევე ნაწილობრივ ელექტროენერჯის ფასებზეც აისახება.

შემოსავლების და ტარიფების დინამიკა- ენერჯის ხელმისაწვდომობა

ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში ქსელური ენერჯის ფასები მეტნაკლებად სტაბილური იყო და სამომხმარებლო კალათის სხვა პროდუქტებთან შედარებით, გაიფადა კიდევ. მაგალითად თბილისში, ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის ნომინალური ტარიფები (მიმდინარე ფასებში) მცირედით გაიზარდა, მაგრამ რეალურ სიდიდეში (ინფლაციით დაკორექტირებული, 2009 წლის ფასებში), ტარიფები შემცირდა დაახლოებით 17% და 20%-ით, ანუ სამომხმარებლო კალათასთან შედარებით, ენერჯია გაიფადა. ეს ცვლილება წლების მიხედვით ასე გამოიყურება (იხ. გრაფიკი 3).

გრაფიკი 3: ენერგეტიკული ტარიფები ნომინალურ და რეალურ მაჩვენებლებში 2009-2019*




* ელექტროენერჯის ტარიფად ვიღებთ მოხმარების შუა საფეხურის (101-300 კვტ.სთ) ტარიფის სიდიდეს

წყარო: სააგენტოს მონაცემთა ბაზა

ამავე პერიოდში, მთლიანი მოსახლეობის საშუალო შემოსავლები, ისევე როგორც სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შემოსავლები, გაიზარდა. გრაფიკ 4-ზე მოყვანილია მოსახლეობის საშუალო შემოსავლები (საქსტატი) და სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობის როგორც ნომინალური, ასევე რეალური (ინფლაციით შესწორებული) შემოსავლების დინამიკა.

გრაფიკი. 4 მოსახლეობის ნომინალური და რეალური შემოსავლები




წყარო: სააგენტოს მონაცემთა ბაზა, საქსტატი

მონაცემებიდან ჩანს, რომ 2009-2018წწ. პერიოდში შინამეურნეობის ოფიციალური საშუალო შემოსავლები გაიზარდა 2.0-ჯერ, ხოლო რეალური (ინფლაციის გათვალისწინებით) შემოსავლები - 1.48 ჯერ.¹⁰ იმავე პერიოდში, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დეკლარირებული შემოსავლები, სოციალური დახმარების ჩათვლით, გაიზარდა 2.51-ჯერ, ხოლო ინფლაციის გათვალისწინებით - 1.86-ჯერ.

5. ტარიფების ცვლილების შედარება საშუალო შემოსავლების ცვლილებასთან მიუთითებს, რომ ბოლო წლების განმავლობაში ენერჯის ხელმისაწვდომობა (შემოსავლების შეფარდება ენერჯის ფასთან)¹¹ მნიშვნელოვნად გაიზარდა. ენერჯის ხელმისაწვდომობა იზრდებოდა შემოსავლების ზრდასთან ერთად და მცირდებოდა ტარიფების ზრდისას. მაგალითად 2016 წელს ტარიფის ზრდამ შეამცირა ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობა წინა წლებთან შედარებით, თუმცა ის მაინც მნიშვნელოვნად აღემატება 2009-2012 წლების შესაბამის მაჩვენებელს (იხ. გრაფიკი 5).

გრაფიკი 5. ელექტრობის და გაზის ხელმისაწვდომობის ცვლილება 2009-2018 წლებში საშუალო შინამეურნეობის და სააგენტოს ბაზაში რეგისტრირებული ოჯახებისათვის.



წყარო: სააგენტოს მონაცემთა ბაზა


¹⁰ საქსტატი [National Statistics office of Georgia](http://www.geostat.gov.ge) (GEOSTAT)

¹¹ ენერჯის ხელმისაწვდომობის საზომად ვიყენებთ ელექტროენერჯის ან ბუნებრივი გაზის რაოდენობას, რომლის შეძენაც შეიძლება შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავლით

მონაცემები აჩვენებს, რომ თუ 2009 წელს შინამეურნეობის საშუალო თვიური შემოსავლით თბილისში შეიძლებოდა 1154 მ³ გაზის ან 3650 კვტ. სთ ელექტროენერჯის შეძენა, 2018 წელს ეს მაჩვენებლები შესაბამისად გახდა 2063 მ³ გაზის ან 6055 კვტ. სთ ელექტროენერჯის ტოლი. სოციალურად დაუცველი ოჯახების საშუალო შემოსავლით თუ 2009 წელს შეიძლებოდა 398 მ³ გაზის ან 1259 კვტ.სთ ელექტროენერჯის შესყიდვა, 2018 წელს ეს მაჩვენებლები გახდა შესაბამისად 929 მ³ გაზი ან 2725 კვტ.სთ ელექტროენერჯია. ანუ ბუნებრივი გაზის ხელმისაწვდომობა საშუალო ოჯახისათვის გაიზარდა 79%-ით ხოლო ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობა - 65%-ით. ხოლო საშუალო სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის ეს მაჩვენებელი შესაბამისად 133% და 116%-ია.

სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემები აჩვენებს, რომ ენერგეტიკული სუბსიდიის გამოკლებით, სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ელექტროენერჯისა და გაზის გადასახდელები მათი მთლიანი შემოსავლის 10%-ს შეადგენს. ამასთან, ელექტროენერჯის ხარჯების წილი მოწყვლადი მომხმარებლების მთლიანი შემოსავლების 4%-ია, ხოლო ბუნებრივი გაზის ხარჯები - 6%. (იხ. გრაფიკი 6).

გრაფიკი 6. ენერგეტიკული დანახარჯების წილი სოციალურად დაუცველი მოსახლეობის შემოსავლებში



წყარო: სააგენტოს მონაცემთა ბაზა

სავარაუდოა, რომ საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახისთვის ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია. ამ შედეგების ინტერპრეტაციისთვის გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ ვაფასებთ მხოლოდ ენერჯის ხელმისაწვდომობის ფარდობით ცვალებადობას და არა მისი მოხმარების დონეს რასაც მოსახლეობის ენერგომომხმარებლის უფრო დეტალური შესწავლა ესაჭიროება

შეჯამება და დასკვნები

ენერგეტიკის ახალი კანონის მიღება ვერ მოახდენს ფასების მოსალოდნელი ზრდის მნიშვნელოვან შემცირებას. ამიტომ, ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად, ელექტროენერჯის და ბუნებრივი გაზის ბაზრების გახსნის და ტარიფების ცვლილების შემთხვევაში, მიზნობრივი დამატებითი დახმარება უნდა გაეწიოს მოწყვლად მომხმარებლებს. მათ შორის:

- საცალო ბაზრის ამოქმედებისთვის (3-5 წელი კანონის მიღებიდან) დამატებითი დახმარება დასჭირდებათ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს, მოხუცებს, ან სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებს, რომლებსაც ინფორმაციის ნაკლებობის ან სხვა გარემოებების გამო შესაძლოა გაუჭირდეთ საცალო ბაზარზე მონაწილეობა. მათ მიმართ გამოყენებული უნდა იქნას სხვა ქვეყნებში აპრობირებული დახმარების მექანიზმები; გათიშვისგან დაცვა, საინფორმაციო კამპანიები, ენერგოეფექტურობის ღონისძიებები და სხვა.
- ფინანსური დახმარება უნდა გაეწიოს მხოლოდ დაბალშემოსავლიან მოსახლეობას. დახმარების უპირატესი ფორმებია ფულადი და მასთან მიახლოებული ვაუჩერული დახმარება, რაც რაციონალურად მოქმედ მომხმარებელს მეტ საშუალებას აძლევს თავად განკარგოს სახსრები. სასურველია რეიტინგული ქულების მიხედვით არა ხისტი ზღვარის, არამედ „რბილი“ გარდამავალი საფეხურების შემოღება და მომხმარებელთა ფართო და მკაფიო ინფორმირება ამ დახმარების მიზნობრიობის შესახებ.
- ტარიფის სუბსიდირება განხილული შესაძლებლობებიდან ყველაზე არაეფექტიანია. განსაკუთრებით არაეფექტიანია ტარიფის სუბსიდირება ყველა საყოფაცხოვრებო მომხმარებლისთვის, ვინაიდან ეს იწვევს ენერჯის და საჯარო რესურსის არამიზნობრივ ხარჯვას, ამახინჯებს ენერგეტიკულ ბაზარს და ზრდის სოციალურ უთანასწორობას - საერთო რესურსის ხარჯზე ძირითადად შეძლებულ მოხმარებელს ეხმარება.

2009-2019წწ, საქსტატის, სემეკის და სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებზე დაყრდნობით, ენერჯის ფასების, შემოსავლების და სოციალურ დახმარების ანალიზი, გვაჩვენებს, რომ:

- ბოლო ათწლეულში მოსახლეობის რეალური საშუალო შემოსავლები გაიზარდა 48%-ით, ხოლო სოციალურად დაუცველთა ბაზაში რეგისტრირებული მომხმარებლების დეკლარირებული შემოსავლების და სოციალური დახმარების ჯამი საშუალოდ გაიზარდა 86%-ით, თუმცა ბოლო წლებში შემოსავლების ზრდის ტემპი შენელებულია.
- ამავე პერიოდში, ენერგეტიკული ტარიფების რეალური (ინფლაციის გათვალისწინებით) სიდიდე შემცირებულია. 2009 წლის ფასებში

ელექტროენერჯის ტარიფი შემცირდა 14.4%-ით, ხოლო ბუნებრივი გაზის ტარიფი - 20%-ით.

- საქართველოს საშუალო ოჯახისათვის ბუნებრივი გაზის ხელმისაწვდომობა გაიზარდა 79%-ით, ხოლო ელექტროენერჯის ხელმისაწვდომობა 65%-ით; სოციალურად დაუცველი ოჯახისათვის ბუნებრივი გაზის ხელმისაწვდომობა გაიზარდა საშუალოდ 133%-ით ხოლო ელექტროენერჯისა 116%-ით.
- ელექტროენერჯის ხარჯების წილი სოციალურად დაუცველი მომხმარებლების შემოსავლებში მცირდება და 4%-ს უახლოვდება; ბუნებრივი გაზის ხარჯების წილი კი ზომიერად იზრდება და 6%-ს უახლოვდება. სავარაუდოდ ეს მაჩვენებელი უფრო ნაკლებია საქართველოს საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახისათვის.

ტარიფების და შემოსავლების ანალიზი აჩვენებს ბოლო ათწლეულში შინამეურნეობებში ენერჯის ხელმისაწვდომობის მნიშვნელოვან ზრდას და არ მიაღწევს ტარიფების შემდგომი სუბსიდირების საჭიროებას.

- გასათვალისწინებელია, რომ მიუხედავად გრძელვადიანი გაუმჯობესებისა, ტარიფების ცვლილებისას უკმაყოფილებას იწვევს კეთილდღეობის მოკლევადიანი გაუარესება უშუალოდ წინა პერიოდთან შედარებით. შესაბამისად სასურველია დახმარების გაზრდა მოხდეს უშუალოდ სატარიფო ცვლილებებთან ერთად.
- ენერჯის ფასებით უკმაყოფილების საფუძველი შეიძლება იყოს ენერგეტიკული ხარჯების სეზონურობა, განსაკუთრებით არახელსაყრელი საცხოვრებელი პირობები, მოსახლეობის ნაწილის განსაკუთრებული სიდუხჭირე და სხვა გარემოებები, რასაც ინდივიდუალური მიზანმიმართული მიდგომა ესაჭიროება.
- სასურველია ენერგეტიკულ ტარიფებზე საკითხზე საზოგადოებაში გავრცელებული შეხედულებების, ასევე სატარიფო სუბსიდირების მიზანშეწონილობის უფრო სიღრმისეული ანალიზი მოსახლეობის ენერგომომხმარებლის დეტალური შესწავლის საფუძველზე.

არსებული ენერგეტიკული / სოციალური დახმარების სისტემის ანალიზი აჩვენებს, რიგ არაეფექტურობას. მათ შორის:

- სოციალური დახმარების სისტემით არ ხდება 65 000 დან 100 000 სარეიტინგო ქულების მქონე მოსახლეობის ფინანსური დახმარება, რაც იმას ნიშნავს რომ სახელმწიფო ვერ ეხმარება ამ კატეგორიის მოსახლეობას თუნდაც ძირითადი საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში.
- არსებული ენერგეტიკული დახმარების პროგრამები არათანაბარ პირობებში აყენებს დედაქალაქში და რეგიონებში მცხოვრებ მოსახლეობას და

ამლიერებს ცენტრსა და რეგიონებს შორის ეკონომიკურ და სოციალურ უთანასწორობას;

- ენერგეტიკული დახმარება მოუქნელია, არ იძლევა მომხმარებლების მიერ შესაბამისი თანხის განკარგვის თავისუფლებას და შესაბამისად ენერჯის უყარათო ხარჯვას უწყობს ხელს.
- 2019 წელს გაცემულმა ფულადი დახმარების მოცულობამ შეადგინა 319.5 მლნ ლარი (დაახლოებით 110 მლნ. დოლარი), ხოლო ენერგეტიკული სუბსიდირების წლიური ბიუჯეტი იყო 21 მლნ ლარი (7.3 მლნ დოლარი). ამ დროს, ბუნებრივი აირის ტარიფის სუბსიდირების ღირებულება შეფასებულია, როგორც 220-250 მლნ. დოლარი 12. ანუ ჯამში ენერჯის მოხმარების სუბსიდირებაზე წლიურად იხარჯება 250 + 7.3 მილიონი დოლარი. სასურველია ამ ხარჯების ოპტიმალურობის და ოპტიმალური გადანაწილების შესაძლებლობის შეფასება. მათ შორის გამოყენება 65000-100000 სარეიტინგო ქულების ინტერვალში მოხვედრილი მოსახლეობის ფინანსური დახმარებისთვის.

რეკომენდაციები

- საცალო ენერგეტიკული ბაზრების ამოქმედების შემთხვევაში, განხორციელდეს მოწყვლადი მომხმარებლების არაფინანსური დახმარება საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, მათ შორის პრიორიტეტი მიენიჭოს ენერგოეფექტიანობის ღონისძიებებით დახმარებას განსაკუთრებულ სიდუხჭირეში ან ცუდ საცხოვრებელ პირობებში მცხოვრები მოსახლეობისთვის,
- ენერჯის ფასების შესაძლო ზრდის შემთხვევაში, დახმარება უნდა გაეწიოს მოსახლეობის მხოლოდ სოციალურად დაუცველ ნაწილს. ხოლო დახმარების გასაწევად გამოყენებულ იქნას სოციალური მომსახურების სააგენტოს არსებული სისტემა, რისთვისაც მოხდეს მისი გაუმჯობესება. მათ შორის:
 - მოწყვლად მომხმარებლებად ჩაითვალოს 100 ათას სარეიტინგო ქულაზე ნაკლების მქონე მომხმარებლები, რომლებიც ვერ იკმაყოფილებენ საბაზო სასიცოცხლო მოთხოვნილებებს.
 - თბილისსა და რეგიონებში მოხდეს დახმარება ერთიანი პრინციპით, თუმცა შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ენერგომომხმარების განსხვავებული საშუალო მაჩვენებლები; ასევე მუნიციპალიტეტებმა შეიძლება შეიმუშაონ

¹² საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო (IEA) საქართველოს ენერგეტიკის სიდრმისეული ანალიზი (მზადდება გამოსაქვეყნებლად)

საკუთარი დამატებითი მიდგომები ადგილობრივი საჭიროების და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

- ფინანსური დახმარების მოცულობა განისაზღვროს საშუალო ენერგეტიკული ხარჯების შესაბამისად, თანხობრივი ან ვაუჩერული დახმარების და არა სატარიფო სუბსიდირების სახით.
- დახმარების გაზრდა მოხდეს ტარიფის ცვლილების წინსწრებით ან მის პარალელურად. რისთვისაც გაუმჯობესდეს კოორდინაცია სემეკსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის.
- დაწესდეს საფეხურებრივი ტარიფი ბუნებრივ აირზე, მოხდეს სეზონურობის გათვალისწინება და საჭიროების შემთხვევაში, გადასახდელი თანხების გადანაწილება მთელ წელზე.
- შემუშავდეს და განხორციელდეს საინფორმაციო კამპანა, რომელიც ნათლად აუხსნის მომხმარებლებს ფულადი დახმარების სქემას და მიაწვდის ინფორმაციას არაფულადი დახმარების მექანიზმების შესახებ.
- ენერგეტიკული დახმარების მიზნობრიობის და ეფექტიანობის გასაზრდელად, ჩატარდეს საქართველოში ენერგეტიკული სუბსიდირების სისტემის ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი, პოლიტიკური ეკონომიკური და სოციალური მიზანშეწონილობის გათვალისწინებით, მომზადდეს რეკომენდაციები, მისი მიზნობრიობის და ეფექტიანობის გასაუმჯობესებლად, ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნების, მათ შორის სიღარიბის და უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნების გათვალისწინებით.
- ჩატარდეს მოსახლეობაში ენერჯის მოხმარების და ენერგეტიკული ხარჯების უფრო დეტალური შესწავლა; მათ შორის სეზონურობის, საცხოვრებელი პირობების და განსაკუთრებული სიდუხჭირის პირობების გათვალისწინებით.

დანართი 1: სუბსიდირების ალტერნატიული მექანიზმების შეფასება

მოწყვლადი მომხმარებლების კეთილდღეობის შენარჩუნებაზე ორიენტირებული პოლიტიკის ალტერნატივების შეფასება ეყრდნობა სტანდარტული მიკროეკონომიკის მიმართულების გადაწყვეტილების თეორიას. კერძოდ, ვაანალიზებთ ტიპური რაციონალური შინამეურნეობის (ოჯახის) ქცევას სხვადასხვა პოლიტიკის პირობებში. ვუშვებთ, რომ შინამეურნეობა თავისი პრეფერენციების, შემოსავლებისა და საქონლის ფასების გათვალისწინებით ახდენს საკუთარი კეთილდღეობის მაქსიმიზაციას ორი საქონლის, ენერჯისა¹³ და შედგენილი საქონლის (composite good)¹⁴, მოხმარების პირობებში. ისეთი ანალიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორებიცაა „საბიუჯეტო შეზღუდულობა“ და „განურჩევლობის მრუდები“, მეთოდოლოგია პოლიტიკის ალტერნატივების ურთიერთ-შედარებისა და ეფექტიანობისა და ეფექტურობის კრიტერიუმების მიხედვით რანგირების საშუალებას იძლევა.

მოწყვლად შინამეურნეობებზე ენერჯის ფასის ზრდის ეფექტის შესამსუბუქებლად განვიხილავთ სახელმწიფო სუბსიდირების შემდეგ სამ ფორმას:

1. ტარიფის სუბსიდირება
2. ვაუჩერი
3. ფულადი კომპენსაცია

განვიხილოთ ტიპური შინამეურნეობა, რომლის შემოსავალი მოცემულ პერიოდში¹⁵ არის $M > 0$. შინამეურნეობა მოიხმარს ორ საქონელს: E ოდენობის ენერჯიას და C ოდენობის შედგენილ საქონელს. ორივე საქონლის მოხმარების ზრდა შინამეურნეობის კეთილდღეობას ზრდის. შინამეურნეობის ინდიფერენტულობის მრუდი აერთიანებს ენერჯიასა და შედგენილი საქონლის სხვადასხვა ოდენობების ისეთ კომბინაციებს, რომელთა შორის არჩევანის გაკეთების დროს შინამეურნეობა ინდიფერენტულია.


გრაფიკი 1 ასახავს ტიპური ამოზნექილი ფორმის და ერთმანეთის მიმართ პარალელურ განურჩევლობის მრუდებს. სამომხმარებლო კალათები A და B ერთსა და იმავე განურჩევლობის მრუდზე (IC_1) ძევს, რაც გულისხმობს, რომ შინამეურნეობის კეთილდღეობის დონე თანაბარია ერთი ან მეორე კალათის მოხმარების შემთხვევაში. მეორეს მხრივ, შინამეურნეობას ურჩევნია მოიხმაროს C კალათა, რომელიც უფრო მაღალი კეთილდღეობის დონის მატარებელ განურჩევლობის მრუდზე (IC_2 -ზე) ძევს, ვიდრე მოიხმაროს კალათა A ან B ან რომელიმე სხვა კალათა, რომელიც IC_1 -ზე ძევს. განურჩევლობის მრუდები, რომლებიც მარჯვნივ და მაღლა მდებარეობენ აერთიანებენ უფრო სასურველ სამომხმარებლო კალათებს ვიდრე მარცხნივ და დაბლა მდებარე განურჩევლობის მრუდები.

გრაფიკი 1: განურჩევლობის მრუდები

¹³ ზოგადობის დაურღვევლად, „ენერჯიაში“ მოიაზრება ელექტროენერჯია და/ან გაზი, კონტექსტის შესაბამისად.

¹⁴ სხვა დანარჩენი საქონლის კალათა

¹⁵ „პერიოდი“ შესაძლოა იყოს თვე ან წელი, კონტექსტის შესაბამისად.



ენერჯის ერთეულის ფასი t პერიოდში არის P_E^t , ხოლო შედგენილი საქონლის ერთეულის ფასია P_C^t . სიმარტივისათვის დავუშვათ, რომ ტიპური შინამეურნეობის შემოსავალი უცვლელია დროში. მოდელის აღწერილობიდან გამომდინარე, საბაზისო $t = 0$ პერიოდში შინამეურნეობის საბიუჯეტო შეზღუდულობა მოცემულია შემდეგი განტოლებით:


$$P_E^0 \cdot E + P_C^0 \cdot C = M \quad (1)$$

დავუშვათ, რომ საბაზისო პერიოდში შინამეურნეობა ყიდულობს ოპტიმალურ კალათას (E^*, C^*) , რაც გულისხმობს რომ საბიუჯეტო შეზღუდულობის პირობებში სხვა რომელიმე სამომხმარებლო კალათის მოხმარება ვერ გაზრდიდა შინამეურნეობის კეთილდღეობას. ოპტიმალური კალათა აკმაყოფილებს საბიუჯეტო შეზღუდულობას:

$$P_E^0 \cdot E^* + P_C^0 \cdot C^* = M \quad (2)$$


გრაფიკულად, შინამეურნეობის ოპტიმალური სამომხმარებლო კალათა არის საბიუჯეტო შეზღუდულობის წრფესა და ინდიფერენტულობის მრუდს შორის მხები წერტილი, როგორც გრაფიკი 2-ზეა ასახული.

გრაფიკი 2: ოპტიმალური კალათა



დავუშვათ, რომელიმე $t > 0$ პერიოდში ენერჯის ფასი გაიზარდა (ასევე დავუშვათ, რომ შედგენილი საქონლის ფასი არ შეცვლილა), ასე რომ $P_E^t > P_E^0$. გრაფიკი 3 ასახავს ახალი ფასის პირობებში საუკეთესო კალათის არჩევის პროცესს. ენერჯის ფასის ზრდის შედეგად შინამეურნეობის კეთილდღეობა უარესდება, რადგან ახალი ოპტიმალური კალათა აღმოჩნდება უფრო დაბალ ინდიფერენტულობის მრუდზე.

გრაფიკი 3: ახალი ოპტიმალური კალათა



მთავრობის მიზანია ახალი, გაზრდილი ფასის პირობებში შინამეურნეობისათვის უზრუნველყოს მოხმარების საბაზისო კალათის (E^*, C^*) კვლავ ხელმისაწვდომობა. ამ მიზნის მისაღწევად, რიგ-რიგობით განვიხილავთ სუბსიდირების ზევით ჩამოთვლილ სამ მექანიზმს.

სუბსიდირების მექანიზმი #1 – ტარიფის სუბსიდირება


ტარიფის სუბსიდირება არსობრივად ყველაზე მარტივ სუბსიდირების მექანიზმს წარმოადგენს - მთავრობა ფარავს ენერჯის ფასთაშორის სხვაობას, მაშინ როდესაც შინამეურნეობა გადაწყვეტილებას კვლავაც ძველი ფასის მიხედვით ღებულობს. ასე რომ, ტარიფის სუბსიდირების პირობებში შინამეურნეობის საბიუჯეტო შეზღუდულობა კვლავ განტოლება (1)-ით იქნება მოცემული და ის კვლავაც მიიღებს ოპტიმალურ გადაწყვეტილებას მოიხმაროს კალათა (E^*, C^*), როგორც გრაფიკი 2-ზეა ასახული. სუბსიდის ხარჯი მთავრობისათვის იქნება $\{(P_E^t - P_E^0) \cdot E^*\}$.

მაშასადამე, ტარიფის სუბსიდირების პირობებში შინამეურნეობა ინარჩუნებს მოხმარების საბაზისო კალათს და შესაბამისად, კეთილდღეობის დონეს, ხოლო პოლიტიკის დანახარჯი არის $\{(P_E^t - P_E^0) \cdot E^*\}$.

სუბსიდირების მექანიზმი #2 – ვაუჩერი

დავუშვათ, რომ მთავრობა იძლევა საკმარისი რაოდენობის ენერგო-ვაუჩერს, იმისათვის რომ შინამეურნეობისათვის მოხმარების საბაზისო კალათა (E^*, C^*) ხელმისაწვდომი იყოს გაზრდილი ფასის პირობებში. ცხადია, რომ ვაუჩერების ფულადი ღირებულება იქნება $\{(P_E^t - P_E^0) \cdot E^*\}$, რომელიც საშუალებას მისცემს შინამეურნეობას მოიხმაროს $V = \frac{(P_E^t - P_E^0) \cdot E^*}{P_E^t}$ ოდენობის ენერგია. გრაფიკი 4 ასახავს ვაუჩერით სუბსიდირების პირობებში შინამეურნეობის გადაწყვეტილების მიღების პროცესს.

გრაფიკი 4 ოპტიმალური მოხმარება ვაუჩერით



AB მონაკვეთი წარმოადგენს საწყისი საბიუჯეტო შეზღუდულობის პირობებში ხელმისაწვდომი კალათების ერთობლიობას. AB' მონაკვეთი არის ახალი საბიუჯეტო შეზღუდულობა (P_E^t, P_C^0) - ფასების პირობებში, ხოლო საბიუჯეტო შეზღუდულობა ვაუჩერის მექანიზმის პირობებში მოცემულია ADB'' -ით. შევნიშნოთ, რომ DB'' სეგმენტი AB' სეგმენტის პარალელურია.

ვაუჩერის მექანიზმის პირობებში, მიუხედავად იმისა რომ საბაზისო კალათა (E^*, C^*) ხელმისაწვდომია, შინამეურნეობა არჩევს მოიხმაროს სხვა კალათა (მხები წერტილი მესამე, ყველაზე მარჯვნივ მდებარე განურჩევლობის მრუდსა და DB'' სეგმენტს შორის), რომელიც შეიცავს E^* -ზე ნაკლები ოდენობის ენერჯიას და C^* -ზე მეტი ოდენობის შედგენილ საქონელს. შინამეურნეობის მიერ განსხვავებული კალათის მოხმარება, მაშინ როდესაც (E^*, C^*) ხელმისაწვდომია, მიანიშნებს იმაზე, რომ საბაზისო სცენართან შედარებით ვაუჩერის მექანიზმის პირობებში შინამეურნეობის კეთილდღეობა უფრო მაღალია. შევნიშნოთ, რომ გრაფიკი 4 ასახავს სიტუაციას, როდესაც შინამეურნეობა სრულად იყენებს ენერგო-ვაუჩერებს და ენერჯიის დამატებით ერთეულებს ყიდულობს მიმდინარე საბაზრო ფასად. ვაუჩერით სუბსიდირების ხარჯი მთავრობისათვის არის $\{(P_E^t - P_E^0) \cdot E^*\}$, როგორც ტარიფის სუბსიდირების შემთხვევაში.


ეფექტურობის თვალსაზრისით, ორივე მექანიზმი - ტარიფის სუბსიდირება და ვაუჩერის მექანიზმი - არის თანაბრად ეფექტური, რადგანაც საბაზისო კალათა ხელმისაწვდომია ორივე მექანიზმის პირობებში. თუმცა ვაუჩერის მექანიზმის ეფექტიანობა უფრო მაღალია - თანაბარი დანახარჯის პირობებში ვაუჩერის მექანიზმი უზრუნველყოფს კეთილდღეობის ზრდას, მაშინ როდესაც ტარიფის სუბსიდირება მხოლოდ კეთილდღეობის საბაზისო დონის შენარჩუნებას ახერხებს. უფრო მეტიც, ტარიფის სუბსიდირების დროს ფასი, რომელსაც მომხმარებელი იხდის არ ასახავს წარმოების გაზრდილ ხარჯებს (რის გამოც იზრდება ენერჯიის ღირებულებაც) და არ იძლევა სიგნალს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების მიმართულებით, ამიტომაც არ ახდენენ სუბსიდირებული სუბიექტები ენერჯიის მოხმარების შემცირებას. რადგანაც ეკონომიკურ ზრდასთან ერთად ენერჯიაზე მოთხოვნა ბუნებრივად იზრდება, რაც სხვა თანაბარ პირობებში ზრდის ენერჯიის ფასს, ტარიფის სუბსიდირების პირობებში (ვინაიდან არ ხდება ენერჯიის მოხმარების შემცირება) კიდევ უფრო მეტად გაიზრდება ენერჯიის ფასი მომდევნო პერიოდებში. მეორეს მხრივ, ვაუჩერის მექანიზმი არ იწვევს მსგავს საფასო „დამახინჯებას“ და საბაზრო ფასი უზრუნველყოფს სწორი სიგნალის მიტანას მომხმარებელამდე. როგორც

ვხედავთ, ტარიფის სუბსიდირება დამატებით არაეფექტიანობას იწვევს. ამრიგად, ორ მექანიზმს არჩევანის გაკეთების დროს არიდებულ უნდა იქნას ტარიფის სუბსიდირება და უპირატესობა მიენიჭოს ვაუჩერის მექანიზმს.

სუბსიდირების მექანიზმი #3 – ფულადი კომპენსაცია


ამ შემთხვევაში მთავრობა ფულად კომპენსაციას უხდის შინამეურნეობას $\{(P_E^t - P_E^0) \cdot E^*\}$ -ის ოდენობით იმისათვის, რომ საბაზისო კალათა კვლავ ხელმისაწვდომი იყოს გაზრდილი ფასის პირობებში. ილუსტრაცია მოცემულია გრაფიკი 5-ზე. შევნიშნოთ, რომ გრაფიკი 4 არის გრაფიკი 5-ის კერძო შემთხვევა. ფულადი კომპენსაციის დროს $A'B''$ მონაკვეთი წარმოადგენს შინამეურნეობის საბიუჯეტო შეზღუდულობას. ამ შემთხვევაში შინამეურნეობის ოპტიმალური კალათა იგივეა, რაც ვაუჩერის მექანიზმის პირობებში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ვაუჩერი და ფულადი კომპენსაცია იძლევა ერთნაირ შედეგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ვაუჩერის მექანიზმის პირობებში შინამეურნეობა სრულად იყენებს ვაუჩერებს და დამატებით ყიდულობს გარკვეული რაოდენობის ენერჯიას მიმდინარე საბაზრო ფასად, რომელი დაშვებაც შესაძლოა არ სრულდებოდეს, როგორც ეს გრაფიკი 6-ზეა ასახული.

გრაფიკი 5: ოპტიმალური არჩევანი ფულადი ტრანსფერის დროს – ქეისი 1



როგორც გრაფიკი 6-დან ჩანს, ვაუჩერის მექანიზმის პირობებში შინამეურნეობა უფასოდ მოიხმარს V ოდენობის ენერჯიას, ხოლო თავის სრულ შემოსავალს ხარჯავს შედგენილ საქონელზე. ამ შემთხვევაში, ვაუჩერის ნაცვლად ფულადი კომპენსაციის გაცემა კიდევ უფრო მეტად გაზრდიდა შინამეურნეობის კეთილდღეობას, რომელიც გრაფიკი 6-დან ნათლად ჩანს.

გრაფიკი 6: ოპტიმალური არჩევანი ფულადი ტრანსფერის დროს – ქეისი 2



ამრიგად ფულადი კომპენსაცია ზოგადად უფრო ხარჯ-ეფექტიანია ვიდრე ვაუჩერის მექანიზმი. ეფექტიანობის მხრივ ორივე მექანიზმი უპირატესია ვიდრე ტარიფის სუბსიდირება. დამატებით, ფულადი კომპენსაცია და ვაუჩერის მექანიზმი არ იწვევენ ფასის „დამახინჯებას“, რაც ახასიათებს ტარიფის სუბსიდირებას.

ზემოთ მოცემული მოკლე ანალიზით ვაჩვენეთ, რომ სუბსიდირების სამი მექანიზმი არის თანაბრად ეფექტური (სამივეს პირობებში ხელისაწვდომია საბაზისო კალათა), მაგრამ ეფექტიანობის მხრივ ფულადი კომპენსაცია წარმოადგენს პირველ საუკეთესო პოლიტიკას, ვაუჩერის მექანიზმი არის მეორე საუკეთესო, ხოლო ტარიფის სუბსიდირება არის ყველაზე ნაკლებად სასურველი.